საქართველოს ენერგეტიკის
სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY
OF GEORGIA

4617-08-2-201310041252

N 08/4617
04/10/2013

„მწვანე ალტერნატივა"-ს

თქვენი #04/06-113 03.10.2013 წერილის პასუხად, ელექტრონული ფორმით გიგზავნით, თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ~~ქართული~~ ვერსიას.

პატივისცემით,

ზაზა ნანობაშვილი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
იურიდიული დეპარტამენტი

საქართველო.თბილისი 0105. სანაპიროს ქ.2: ტელ.:235 78 28: 235 78 01: ელ.ფოსტა: mail@minenergy.gov.ge
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 235 78 28; +995 32 235 78 01; e-mail: mail@minenergy.gov.ge , web: www.minenergy.gov.ge

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), შპს "ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას", შპს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს" და შპს "ენერგოტრანსს" შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებული, ხუდონ ჰესის მშენებლობის, ექსპლუატაციის და მფლობელობის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

__ მაისი, 2013 წ.

საქართველოს მთავრობა (შემდგომში **„მთავრობა"**), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ბ-ნი კახა კალაძის მიერ;

„ტრანს ელექტრიკა ლიმიტედ“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) (შემდგომში **„კომპანია“**), იურიდიული მისამართი: პ.ო. 598, პასეა, როუდ თაუნ, ტორტოლა, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები № 1479874, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბ-ნი პაატა წერეთლის მიერ;

შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" (შემდგომში **„საპროექტო კომპანია"**), საიდენტიფიკაციო კოდი: 404857650, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბ-ნი პაატა წერეთლის მიერ;

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი" (შემდგომში **„ესკო"**) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ქ-ნი ირინა მილორავას მიერ;

შპს „ენერგოტრანსი" (შემდგომში **„ენერგოტრანსი"**) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბ-ნი კახა სეხნიაშვილის მიერ.

ვინაიდან 2013 წლის 4 თებერვალს მხარეთა შორის დაიდო დამატება საქართველოს მთავრობას, „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), შპს "ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას", შპს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს" და შპს "ენერგოტრანსს" შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებულ ხელშეკრულებაზე (შემდგომში „ხელშეკრულება“), რომლის თანახმადაც მხარეებმა გამოაცხადეს მემორატორიუმი, რათა მხარეთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით განეხილათ ხუდონი ჰესის პროექტის სოციალური და გარემოზე ზემოქმედების საკითხები და დაეზუსტებინათ მომავალი თანამშრომლობის პირობები აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით;

1. შესაბამისად მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების შეტანის თაობაზე:

1.1 შეიცვალოს ხელშეკრულების მეორე პარაგრაფის პრეამბულა და ჩემოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რადგან ურთიერთგაგების მემორანდუმის 6.2 პუნქტის (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) შესაბამისად, კომპანიამ განახორციელა პროექტის დეტალური კვლევა, მოამზადა პროექტის დეტალური ანგარიში და განზრახული აქვს ააშენოს ხუდონის ჰიდროელექტროსადგური ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრული პირობებისა და პარამეტრების შესაბამისად.";

1.2 შეიცვალოს ხელშეკრულების 3.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„(ა) საპროექტო კომპანიისთვის პროექტის განსახორციელებლად საჭირო ყველა ლიცენზიისა და ნებართვის (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით) გაცემა.";

1.3 შეიცვალოს ხელშეკრულების 3.1 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„(ვ) საქართველოს მთავრობა და საპროექტო კომპანია მსოფლიო ბანკის იძულებით გადასახლების 4.12 პოლიტიკის შესაბამისად ერთობლივად მოამზადებენ იმ ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლებისა და რეაბილიტაციის გეგმას, რომლებზედაც სავარაუდოდ უარყოფითად იმოქმედებს პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი სამშენებლო სამუშაოები ან რომელთა გადასახლებაც უნდა მოხდეს პროექტის მშენებლობის გამო.";

1.4 შეიცვალოს ხელშეკრულების 3.3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„(ა) ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით სათანადო წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელებს საჭირო ქმედებებს, მოიპოვებს ზემოაღნიშნულ ნებართვას და დაიწყებს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას (მშენებლობის ნებართვის და მთავრობის შესაბამისი ნებართვების მიღების შემთხვევაში) არაუგვიანეს 2014 წლის 1 მარტისა.";

1.5 ხელშეკრულბას დაემატოს შემდეგი შეინაარსის 3.4 მუხლი:

„3.4 საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მხარეები გადახედავენ პროექტის ტექნიკურ პარამეტრებს, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართებით.";

1.6 შეიცვალოს ხელშეკრულების 4.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3 ობიექტის ექსპლუატაციის დაწყებიდან ექსპლუატაციის პირველი ათი წლის განმავლობაში („**საწყისი საექსპლუატაციო პერიოდი**"), ობიექტის მიერ სრულად გამომუშავებული სიმძლავრე თითოეული წლის ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და მარტი („**ზამთრის თვეები**")) 4.4 პუნქტის პირობების შესაბამისად გაიყიდება ექსკლუზიურად საქართველოს შიდა მოთხოვნების

დასაკმაყოფილებლად, მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც აისახება შესაბამის წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსში ან ნებისმიერ სხვა შესაბამის დოკუმენტში. კომპანია/საპროექტო კომპანია გარანტიას იძლევა, რომ ობიექტის გამომუშავება საწყისი საექსპლუატაციო პერიოდის ზამთრის თვეებში არ იქნება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსში ან ნებისმიერ სხვა შესაბამის დოკუმენტში მითითებულ ოდენობაზე ნაკლები.";

1.7 შეიცვალოს ხელშეკრულების 4.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.4 4.3 პუნქტის მიზნებისთვის, თავდაპირველ საექსპლუატაციო პერიოდში, ზამთრის თვეების განმავლობაში, კომპანია/საპროექტო კომპანია საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ გაყიდის მის მიერ გამომუშავებულ ენერგიას საქართველოში ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალი (დერეგულირებელი) ტარიფით და/ან „ესკო"–სთან ხელმოწერილი, ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შეთანხმების პირობების შესაბამისად. ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შეთანხმება ეფუძნება „Put Option" პრინციპს, რითაც კომპანიას/საპროექტო კომპანიას ეძლევა „Put Option" უფლება, გაყიდოს გამომუშავებული ელექტროენერგია „ესკო"-ზე 5,84 აშშ ცენტად 1 კილოვატი საათი („Put Option" **ფასი**) შიდა კავშირის წერტილზე. „Put Option" უფლების შეუზღუდავად, ტარიფი შესაძლოა გადახედილ იქნას მხარეთა მიერ, ელექტროენერგიის ბაზრის პირობების შესაბამისად. მხარეთა მიერ ტარიფის გადახედვასთან დაკავშირებით შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოქმედი ტარიფი რჩება ძალაში. კომპანია/საპროექტო კომპანია ხელშკრულების 4.3 პუნქტით განსაზღვრულ საწყისი საექსპლუატაციო პერიოდის ზამთრის თვეების გარდა, ინვესტიციების ამოღების პერიოდში, მაგრამ არაუმეტეს 15 წლისა ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან, უფლებამოსილია გაყიდოს გამომუშავებული ელექტროენერგია საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ და შესაძლოა განახორციელოს ელექტროენერგიის ექსპორტი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ექსპორტი შეზღუდულია შესაბამისი სუბიექტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან/და რეგულაციების მიხედვით. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 15 წლის შემდეგ კომპანია/საპროექტო კომპანია უფლებამოსილია გაყიდოს გამომუშავებული ელექტროენერგია საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ და შესაძლოა განახორციელოს ელექტროენერგიის ექსპორტი საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად. თუ კომპანია/საპროექტო კომპანია იყენებს წინამდებარე პუნქტში განსაზღვრულ „Put Option" უფლებას და „ესკო"-ს არ შეუძლია გამომუშავებული ელექტროენერგიის სრულად ან ნაწილობრივ შესყიდვა ნებისმიერი მიზეზით, შემცირებული მოთხოვნის ჩათვლით, იგი მაინც გადაუხდის კომპანიას/საპროექტო კომპანიას (i) „Put Option" ფასს და (ii) ზამთრის თვეებში გამომუშავებული ენერგიის ალტერნატიული გაყიდვით მიღებულ შემოსავალს შორის სხვაობას, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას/საპროექტო კომპანიას შეეძლო სხვა მყიდველის მოძიება.";

2. ხელშეკრულების 4.6 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა ხელშეკრულების პირობის (კომპანიის მიზეზით მშენებლობის ნებართვის მიღების ვადის დარღვევა, 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 დეკემბრამდე) კომპანიის/საპროექტო კომპანიის მიერ დარღვევის გამო კომპანიამ/საპროექტო კომპანიამ უნდა გადაიხადოს 2014 წლის 1 მარტიდან არაუგვიანეს 90 სამუშაო დღის განმავლობაში;
3. წინამდებარე შეთანხმება ძალშია მისი ხელმოწერის მომენტიდან;
4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ-ინგლისურ ენაზე თითოეული 7 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად და იგი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
5. ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

_____

„ტრანს ელექტრიკა ლიმიტედ“

_____

შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია”

_____

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”

_____

შპს „ენერგოტრანსი”

_____

დამატებითი ხელმომწერები:

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

_____

სს „გეს საქრუსენერგო“

_____